

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს –
აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის

ბრძანება №07
2012 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, 99-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და “ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აკრედიტაციის სისტემის თანდართული წესები და პროცედურები:

ა) საკ 1.1:2012 – „აკრედიტაციის სქემები და საერთო პროცედურები“;

ბ) საკ 1.2:2012 – „აკრედიტებული პირების საქმიანობის მონიტორინგისა და ზედამხედველობის ჩატარების წესი“;

გ) საკ 1.3:2012 – „წესები და პროცედურები საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების სსტ ისო/იეკ 17025:2010-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“;

დ) საკ 1.4:2012 – „წესები და პროცედურები სამედიცინო ლაბორატორიების სსტ/ისო 15189:2011-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“;

ე) საკ 1.5:2012 – „წესები და პროცედურები პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოების სსტ ისო/იეკ სახელმძღვანელო 65:2010-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“;

ვ) საკ 1.6:2012 – „წესები და პროცედურები პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების სსტ ისო/იეკ 17024:2010-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“;

ზ) საკ 1.7:2012 – „წესები და პროცედურები აუდიტისა და მენეჯმენტის სისტემების სერტიფიკაციის განმახორციელებელი ორგანოების ისო/იეკ 17021:2011-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“.

თ) საკ 1.8:2012 – „წესები და პროცედურები ინსპექტირების ორგანოების სსტ ისო/იეკ 17020:2010-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“;

ი) საკ : 1.9:2012 – „აკრედიტაციის კომიტეტის წესები და პროცედურები“;

კ) საკ 1.10:2012 - „აკრედიტებულ პირთა რეესტრის წარმოების წესი“;

ლ) საკ 1.11:2012 – „აპელაციებისა და საჩივრების განხილვის პროცედურა“;

მ) საკ 1.12:2012 – „აკრედიტაციის ლოგო, აკრედიტაციის ნიშანი და მათი გამოყენების წესები“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკრედიტაციის ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე სსიპ “აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“-ს გენერალური დირექტორის 2006 წლის 7 ივნისის N 1 ბრძანებით დამტკიცებული შემდეგი დოკუმენტები:

ა) - სსიპ “აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“-ს აკრედიტაციის წესები და პროცედურები -საკ 1.1 : 2006;



ბ) – “ზოგადი მოთხოვნები ლაბორატორიების აკრედიტაციისადმი” - საკ 1.2 : 2006; (სახელმძღვანელო დოკუმენტი სსტ ენ 45001 : 2006 და სსტ ისო/იეკ 17025 : 2006 სტანდარტების გამოსაყენებლად);

გ) – “ზოგადი მოთხოვნები შესაბამისობის შეფასების ორგანოების (სერტიფიკაციის ორგანოების) აკრედიტაციისათვის” – საკ 1.3 : 2006; (სახელმძღვანელო დოკუმენტი სსტ ენ 45011 : 2006 სტანდარტის გამოსაყენებლად);

დ) – „აკრედიტებული პირების საქმიანობის საინსპექციო კონტროლის ზედამხედველობის ჩატარების წესი” - საკ 1.4 : 2006;

ე) – “აკრედიტებული იურიდიული და ფიზიკური პირების, აკრედიტაციის სისტემის მონაწილეთა და აკრედიტაციის მოთხოვნათა შემცველი დოკუმენტების რეესტრის წარმოების წესი” - საკ 1.5 : 2006;

ვ) – აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს რეგლამენტი საკ 1.6 : 2006;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკრედიტაციის სისტემის ტექნიკური რეგლამენტი “ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრების მიმართ წაყენებული მოთხოვნები _ საკ. 1.7 : 2007”-ის დამტკიცების შესახებ” სსიპ “აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი”-ს გენერალური დირექტორის 2007 წლის 20 ივნისის №03 ბრძანება.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საკ 1.8:2011 – წესები და პროცედურები საინსპექციო ორგანოების სსტ ისო/იეკ 17020:2010-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“ დამტკიცების თაობაზე სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრი“-ს გენერალური დირექტორის 2011 წლის 21 მარტის №05 ბრძანება.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი
ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის
ცენტრი“-ს გენერალური დირექტორი

პაატა გოგოლიძე

